№ 94 მაისი 6, პარასკევი 1888 მაისი 6, პარასკევი № 94


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზემუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი ორა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ამ ნომერში ათი გვერდია.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა 8 მაისს.

**გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.**

ტფილისი, 5 მაისი

ჩვენ წინა წერილში ლაპარაკი გვქონდა ზნე-ხასიათის წრთვნაზედ. ხოლო რა არის ეს ზნე-ხასიათის წრთვნა, ეს კი ვერ ავხსენით. ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის-კი ამ ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წრთვნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკედ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის წრთვნა ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველ გვარის წრთვნისა, ზრდისა და განათლებისა.

სხვანი ამაზე უფრო შორს მიდიან და,—სწორედ მოგახსენოთ,—არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წრთვნა არამც თუ უდიდესი, არამედ ერთად-ერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებაათ. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო. კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ-რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თვითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა.

ამიტომაც თვითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წრთვნას, ამ ერთად-ერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა.

დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდა უნივერსიტეტი, მარტო სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული დააგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა.

თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს,—ჰქონია ფიქრად, თუ არ ჰქონია,—მაინც ასე თუ ისე უცოდინებია, უსწავლებია სად და როგორ გაიგნოს სწავლა ცოდნის, მეცნიერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა გზით ვერა სწვდება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თვითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა.

მაშასადამე, სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწრთვნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რაიმე ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წრთვნა თავ-მინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბაშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცადა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე და დღე ეკარგებათ როგორც მეტი რამ.

„ესეთი ყოფა და მიმართულება ეხლანდელის სკოლისა, ამბობს ერთი მეცნიერი: ერთი უსაშინლესი და უდიდესი ცდომაა ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შორის. ყმაწვილის ნორჩს გონებას ვტვირთავთ, საზარგულად ბევრით რიცხვით აუარებელ და მრავალ ფერ ცოდნისათვის, იმისდა გამოურკვევლად თუ,—რა აზრით ვშვრებით ამასა. იმის მაგიერ, რომ ბუნებისამებრ გზარდოთ, გწვრთნოთ სული, ჩვენ მარტო იმასა ვსცდილობთ, რომ ბაშვს გავუგუშოთ მხოლოდ ნიჭი გონებისა და ხსოვნა ციფირებისა, სახელებისა, წელიწადებისა, სამათემატიკო ფიგურებისა, საგრამატიკო ფორმებისა. ამას ჩვენ ისეთის ახირებითა ვსცდილობთ, იმოდენად რიცხვით ბევრს და დიდის საწყაოთი ვუწყავთ, რომ ბაშვი მთლად იქანცება ხორცით, აღარა აქვს დრო არც თავის ბუნებურ თვისების თავის თავად გახსნისა და წარმატებისათვის, არც იმისათვის, რომ ამ აუარებელ სასწავლებელ საგნებ შორის გამოარკვიოს, გაიგნოს რამ. შესვენებისათვისაც-კი აღარა ჰრჩება დრო თავისუფლად მიეცეს ფიქრსა უამისოდ, რომ ზედ არ დასცქეროდეს დაუძინებელი, გულის ასარევამდე მობეზრებული ოსტატი, ანუ ზედამხედველი“.

„ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ამბობს სხვა მწერალი: და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას-კი ივიწყებენ, სახელდობრ, იმას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ღონე მისცეს მეგირდის ზნე-ხასიათს თავის თავობა იჩინოს და გაიწრთვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად“.

თუ ამ გზით არაჰშველის სკოლა შეგირდსაო, ამბობს იგივე: მაშინ აღარც იდეალია, აღარც ღონეა თავ-დამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან-კი დაიწვნის ხოლმე უკეთესნი თვისებანი ადამიანის ზნე-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცთ-მოყვარეობა და სამართლიანობაო.

მართალ-იც არის. კაცურის კაცობის თავი და თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ და კაცთ-მოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ-რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, სადაც ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითეული თავის კერძს ცხოვრებისას და კეთილის მომქმედიც იქნები, რადგანაც ავ-კაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაც-მოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი,—სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას ამისათვის გაუხსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული.

ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ვპოვულობთ და მაშინდელ დიდბუნებოვან კაცებს არა ერთხელ წარმოუთქვამთ. თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ

# ფელეტონი

## საცოდავნი

(ვუძღვნი გ. ტ. ა—ს)

(მოთხრობა)

### III

(შედეგი *)

მეორე დილა იყო ორშაბათი. ბ-ნი ივანე პეტრეს ძე ახალი ამდგარი იყო და აივანზე ბოლთასა სცემდა. ულვაშები ოდნავ უცინოდა. ეტყობოდა, რაღაც სასიამოვნო რაზედმე ჰფიქრობდა და იმით მხიარული იყო. მართლაც, ამ დროს რომ იქ ვინმე ყოფილიყო, აი რას გაიგონებდა, რადგან ივანე პეტრეს ძე იმდენად გაეტაცნა სასიხარულო ფიქრს, რომ თითქმის ხმა-მაღლა ლაპარაკობდა:

— არა, მე იმისთანა ჩემს დღეში არა მინახავს-რა! ამხელა კაცი გავზრდილვარ და ეს პირველი ნახვა იყო იმისთანა მშვენიერებისა. ჰმ, ან რა მკლავები აქვს, ან რა კისერი, რა ლოყები!.. თვალებიხომ სულ ცეცხლს აფრქვევს!.. ოოჰ!—რაღაც სხვა ნაირად გააქნია ხელი ბ-ნმა ივანე პეტრეს ძემ და სახე დაელმიჭა.—უსათუოდ უნდა დავეუფლო, დავესაკუთრო, მაგრამ რა ნაირად?.. მმმ... ყიდვა არ შეიძლება... რა უთხრა იმას, ვილაცამ ბატონ-ყმობა მოსპო!.. ეხლა რომ ბატონ-ყმობა იყოს, რა მიჭირს? მიეცი ამდენი და ამდენი და ის, ვინც გინდა, შენია. ვინ იცის, რამდენი „ასულნი კოლხიდისანი“ მიშოვნია ამ ნაირად და ეს-კი... მმმ...

ამ დროს გამოვიდა აივანზედ ბ-ნის ივანეს მხლებელი ვახთა ძიმწარია, რომელიც სამეგრელოდამ წაეყვანა ივანეს.

— ოო, ვახთა, შენა? ჰკითხა ივანე პეტრეს ძემ.

— დიახ, მე გახლავარ, ბატონო,—მიუგო ჩვეულებრივის ღიმილით ვახთამ, რომელიც ყოველთვის იღიმებოდა, როცა თავის უფროსს ელაპარაკებოდა.

— როგორა სჯობს მაშ, ვახთა, იმ საქმისა, წუხელის რომ ვლაპარაკობდით? ვერაფერს ვერ მოვახერხებთ?

— არაფერია, ბატონო, მოვახერხებთ,—სთქვა და ჩაიცინა ვახთამ.

— როგორ, როგორ, მე ნუ მოგიკვდე? მითხარი!..

— სულ ადვილად, ბატონო. ბ-ნს ივანეს სახე გაუბრწყინდა და არ იცოდა, რა ექნა სიხარულით.

— რა ნაირად, ვახთა, ა?.. რა ნაირად მოვახერხებთ? მივარდა თავის ვახთას.

— აი, ბატონო, მე რა ვიფიქრე წელან და, სწორე უნდა მოგახსენოთ, მშვენიერი ფიქრიც არის.

ბ-ნი ივანე სმენად გადაიქცა.

— თქვენ,—ღიმილით განაგრძო ვახთამ,—უთხარით ბატონს, რომ ერთი ვინმე ახალგაზდა ქალი გინდათ შვილობილად აიყვანოთ. ბატონმა იცის, რომ თქვენ ცოლი გაგდებული გყავთ და უთხარით, რომ მოხუცდით, მომვლელი გჭირდებათ და იმისი ნათლული მოგწონთ. რა გენაღვლებათ, დაუმატეთ ისიც, რომ, როცა გათხოვებას მოინდომებს, თქვენ გაათხოვებთ და ყველაფერს იმას უანდერძებთ. არც ბატონს ეწყინება ეს საქმე და არც ეკას დედ-მამა იტყვის ამაზედ უარს, რადგან ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, შვილად აყვანას დიდი პატივი აქვს. ამაზედ უკეთესს ვერაფერს მოიგონებთ, ბატონო.

ეს სთქვა და გაჩუმდა ვახთა, მხოლოდ იმისი ტუჩები კვლავ იღიმებოდა სატანურად.

— ოჰ, ჩემო ვახთა, ეგ სწორედ მშვენიერი აზრია!—წამოიძახა ბ-ნმა ივანემ, რომელსაც თვალის წამწამებმაც-კი დაუწყეს თამაში.—მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამაზედ უარს არ გვეტყვიან, ჰა?

— დარწმუნებული ვარ, ბატონო, მაგრამ ცოტა რამ «ფეშქაშს» შეჰპირდით ქალბატონს და ის უსათუოდ დაიყოლიებს ეკას. ჩემის მხრით, რაც შემეძლება, იმის დედ-მამას ვურჩევ ძალიან და მგონია, კიდეც დავითანხმებ.

— აბა შენ იცი, ჩემო ვახთა, და, თუ კაცი ვარ, მე ვიცი შენი პატივის-ცემა.

— დიდი მადლობელი გახლავარ, ბატონო, უთხრა ვახთამ და მძიმედ დაუკრა თავი. ამ დროს გამოვიდა აივანზედ ქალბატონი და მიესალმა ივანე პეტრეს ძეს.

— აბა, ვახთა, ჩაი უბრძანე!—უბრძანა სახლის პატრონმა ვახთას, რომელიც სწრაფად გაჰქრა ბრძანების შესასრულებლად.

— სხვა, ბატონო, ხომ კარგად გეძინათ წუხელის?—ჰკითხა ქალბატონმა ბ-ნს ივანეს.

— კი, ბატონო, მშვენივრად, მიუგო ივანემ.

— ხომ არაფერმა შეგაწუხათ?

— არა, ბატონო. განა ამ დალოცვილს მხარეში შეაწუხებს კაცს რამე? თქვენ არ მომიკვდეთ, თქვენს სახლში რომ ვგრძნობ თავს, ისე სხვაგან არსადა ვგრძნობ. ღმერთსა ვფიცავ, აქ სამსახური კიდეც მერჩია, რადგან თქვენისთანა მეგობარი მე სხვა არავინა მყავს.

ამ დროს ბატონიც გამოვიდა, ჩაიც

*) იხ. „ივერია“ № 91.

ჯერ კიდევ საშუალ საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

შემდეგს ნომერში ამ ისტორიას ვუამბობთ ჩვენს მკითხველებსა.

## ახალი ამბავი

*** სეირნობა და ლატარია-ალლეგრი, რომელიც დანიშნული იყო მუშტაიდის ბაღში «ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ კვირას, რვა მაისს, გადადებულ იქმნა 22 მაისისათვის. ამ სეირნობისათვის დიდი მზადებაა. დღე არ გავა, რომ საზოგადოებას არ მოუვიდეს საქართველოს რომელისამე კუთხიდამ რაიმე შემოწირულობა; საზოგადოებამ დიდ-ძალი წვრილი ნივთები და ლამაზი სხვა-და-სხვა სამკაული მიიღო მოსკოვიდამა და ვარშავიდამ. კერძო კაცნი თუ ქალნი დიდის სიხარულითა და სიამოვნებით უგზავნიან საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთს, საგანს, ვეჯს, სახლის სამკაულსა და მორთულობას ლატარიაში ჩასაგდებად. სულ მოგება ათასამდე იქნება. მათ შორის ზოგი მოგება ფრიად ძვირფასი მოგება იქნება. მოსაგებ ნივთებ შორის როიალიც არის, რომელიც სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ორმოცი და ორმოც-და-ათი თუმანი ფული ღირს. სხვა-და-სხვა ქუთათურს ლამაზს ნივთებს, დანებს, კრიალოსნებს, ყანწებს და სხვებს ხომ ვინ მოსთვლის. სეირნობა დაიწყება შუადღიდამვე და გასტანს საღამოს 9 საათამდე. დუდუკი, ზურნა, მომღერალთა და საზანდართა დასტანი, მემუსიკეთა დასნი და ბოლოს ათას-ფერი შუშხუნები გაართობს და დაატკბობს მოსეირნეთა. ვინც შარშან დაესწრო ამ გვარსავე სეირნობაზე, ეხსომება, რა მხიარულება და დროს გატარება იყო იმ დღეს მუშტაიდის ბაღში და რა სიამოვნებით ეშურებოდა ყველა, დიდი თუ პატარა, ამ დიდს ბაღში თავის წვლილის მისატანად ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების სასარგებლოდ. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ წელსაც, თუ უმეტესი არა, ნაკლები სიამოვნება და დროს გატარება არ იქნება და საზოგადოებასაც, თუ არა მეტი, ნაკლები შემოსავალი არ დარჩება თავის წმინდა და სასარგებლო საქმისათვის.

*** თავის დროზე ჩვენს გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნმა ი. წინამძღვარიშვილმა შეადგინა ქართულს ენაზე წიგნი „ვაზის მოვლა-მოშენებაზე“, რომლის განხილვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიანდო თავისს წევრს, ბ-ნს ზ. ჯორჯაძეს, და რომ ჯორჯაძემ ეს წიგნი კარგად შედგენილ და სასარგებლოწიგნად იცნოვო. ეხლა გაზეთი „მეურნე“ გვატყობინებს, რომ სამეურნეო საზოგადოება უკვე შესდგომია წინამძღვრიშვილის ნაწერის ბეჭდვასა.

*** ხვალ, შაბათს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში მოხდება პირველი ეგზამენი მეექვსე კლასის შეგირდებისა.

*** სასულიერო სემინარიაში შეაქვთ პირველ-დაწყებითის ექიმობის სწავლება. ამ ჟამად ექიმობას ასწავლიან კიევისა, ეკატერინოსლავისა და ოდესის სემინარიებში და, როგორც გაზ. „Новости“ გვაცნობებს, ექიმობის სწავლა უნდა შემოიღონ კიშინიოვისა და სხვა სემინარიებში. იმედია, რომ იგივე ამ მოკლეს ხანში მოელის ჩვენს სემინარიასაც.

*** გურია: ჩვენში ნივთიერის შეძლებით და მკვიდრთა რაოდენობით პირველი ადგილი ეკუთვნის ბასილეთისა და ლანჩხუთის საზოგადოებათა. ამ ორსავე საზოგადოებაში წინად აზრადა ჰქონდათ თავ-თავიანთი ერთ-კლასიანი სკოლები ორ-კლასიანებად გადაექცეთებინათ, მაგრამ, როგორც სჩანს, ხალისი დაჰკარგვიათ და გულ-გრილობამ საქმე სრულიად უნდა ჩაშალოს. ლანჩხუთელებმა ითხოვეს, თუ შესაძლოა, ეს ერთ-კლასიანის სკოლის ხარჯი თავიდგან აგვაცილეთო; ბასილეთელები იმ აზრზე შემდგარან, რომ რაღა სწავლა-განათლება გვეჭირვება, როცა წუმწუმა და ნავთი გაგვიძვირდაო.

იმ დროს, როდესაც ლანჩხუთელები და ბასილეთლები ასე გულ-აცრუებულნი არიან, სურების საზოგადოების ქვედა ნაწილს გაუმართავს სკოლისათვის მშვენიერი სადგური, დაუმზადებია ახალის გეგმის სტოლები და სკამები და თხოვნა შეუტანია, ოფიციალურად აღიარეთ ჩვენი სკოლა და მასწავლებელი დაგვინიშნეთო. მაგრამ ენახოთ სურებლებს რას ეუბნებიან: ჯერ უსათუოდ ზემო ნაწილი შემოიერთეთ, ზიარი სკოლა ააშენეთ საშუალო ადგილზე და მაშინ შევიწყნარებთ თქვენს თხოვნას; მანამდისკი თქვენს სკოლაში კერძო სწავლებაც-კი აღკრძალულ უნდა იქმნასო.

*** იქიდამვე ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს: ამას წინად აზ. ბერიძეებმა სატირალში თავიანთსავე მეზობელს, უჯმაჯურიძეს, თავში დასცეს კეტი და იქვე გაათავეს „კუკალი კაცი“. ეს ამბავი ლიხაურებმა იუკადრისეს: სად სატირალი და სად კაცის მოკვლაო. იქ ერთსა სტიროდნენ და ისიც ჰპმაროდათ, რაღა მეორის სიკვდილი ეჭირვებოდათო. ალბად ასე ჰფიქრობდნენ, თორემ ჯიბრში რად ჩაუდგებოდნენ? ლიხაურელებმა იმის დასამტკიცებლად, რომ ერკეთელებს არ ჩამოუვარდებითო, ტირილში-კი არა, ქორწილში მოჰკლეს კაცი რევოლვერით და არა კეტით. ამას შემდეგ ერთმა ლიხაურელმა ერთს მშვენიერს დღეს თავი ჩამოირჩო. მოდით ამას იქით და „ქრისტე აღსდგა“ იგალობეთ; ბოლოს მე-კი ვიცი ჩემი საგალობელი: „ეს არის დღე, რომელ ჰქმნა კაცთა სიბოროტემ: ესტიროდეთ და ვსწუხდეთ ამას შინა“.

*** ქ. ფოთი: კნ. თავდგირიძისას განზრახვა ჰქონდა ლატარია-ალლეგრი გაემართა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ „მაისობა“ დღეს, პირველს ამ თთვისას, როცა დიდ-ძალი ხალხი იკრიბება ერთად. დანიშნულს დღეს ალლეგრი ვერ შესდგა წვიმის გამო და ამიტომაც მეორე დღეს გაიმართა. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო პირვანდელი აზრი შემოსავალის დანიშნულების შესახებ შეიცვალა და მთელი შემოსავალი უნდა გადაეცეს ქალაქის გამგეობას, რომელსაც თავის მოსაზრებისამებრ შეუძლიან მოიხმაროს.

*** სოფ. კულაში: ახალ-კვირა ჩვენში იშვიათად ჩაივლის ხოლმე უხიფათოდ; ხანჯლის ტრიალი და ან სხვა რამ უსიამოვნება უსათუოდ უნდა მოხდეს. უამისოდ ჩვენში დღესასწაული ძნელად წარმოსადგენია. წელსაც, პირველს მაისს, ახალ-კვირას, ზოგიერთებმა ასტეხეს ჩხუბი, რის გამოისობითაც დაიჭრა სამი მიქელაძე.

*** გაზ. „Правит. Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია, რომ საცენზორო წესდების მე-121 მუხლის ძალით ქართული გაზეთი „ცისკარი“, რომელიც ბ-ნ ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამოდიოდა, უკვე მოსპობილიაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. წევა, შორაპნის მაზრა. ჩვენს სოფელში წმინდა გიორგის ეკკლესიაა, რომლის მრევლი ოთხს კომლამდე არის. ამ ეკკლესიის გალავანს უჭირავს სამ ქცევამდე ადგილი, რომელიც ხუთის წლის წინადაც აღვსილი იყო მიცვალებულებით; მაშ ეხლა ხომ ლაპარაკიც არ უნდა, რომ ადგილის ვიწროობა იქნება. ეკკლესიის გარეშემო სახლი სახლზედ არის მიტეუშებული და სასაფლაოსაგან გაფუჭებული ჭაური დიდს ვნებას აძლევს გარეშემო მცხოვრებლებს, ასე რომ წელიწადი ისე არ გაივლის, რომ სხვა-და-სხვა სნეულებამ ხელი არ მოსდვას მცხოვრებლებსა. ამ რამდენისამე წლის წინად გაზეთ „დროება“-შიაც იწერებოდნენ, თუ რამდენად შეწუხებულნი არიან ამ გარემოებით, მაგრამ იმდენმა წერამ ჩაიღუპა წყლად ჩაუარა საზრალო კორრესპონდენტს. ნუ თუ საყურადღებო და საშიშარი არ არის ისა, რომ როცა მიცვალებულის დასაფლავებას უნდათ, უსათუოდ ძველი ვისიმე საფლავი უნდა მოსთხარონ და ახალი მიცვალებულიც იქვე ძველთან უნდა დაასაფლავონ. ეს კიდევ არაფერი. სასაფლაოს სივიწროვემ კინაღამ რამდენიმე კაცი არ იმსხვერპლა.

ეს სასაფლაო ეკუთვნის სოფლებს: წევას, ჭალას, წითლაკალს და სანახშირს. სოფ. წევას მეტი ადგილი აქვს სასაფლაოზე და წეველებს დიდი შეწუხება აქვთ, როდესაც დანარჩენ სოფლების მიცვალებულები უნდათ დამარხონ. რადგანაც დანარჩენ სოფლებს ნაკლებად აქვს სამარხი მიწა, ამიტომ უსათუოდ მოპარვით ან ძალით უნდათ დამარხონ თავიანთი მიცვალებულები წეველების სასაფლაოზე. 22 აპრილს დილით, წითელ პარასკევს, წითლაკალელებმა მოასვენეს მიცვალებული დასამარხად წეველების საკუთარ სასაფლაოზე. წეველებმა გაიგეს ეს თუ არა, მაშინვე შემოესივნენ წითლაკალელებს და ნება არ მისცეს დაემარხათ თავიანთი მიცვალებული. რიცხვით წითლაკალელები ცოტანი იყვნენ და წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს; წავიდნენ უკანვე, მხოლოდ მიცვალებული დაუმარხავი დასტოვეს. ეს გარემოება წითლაკალელებმა მამასახლისს აცნობეს. შორაპნის საზოგადოების მამასახლისმა დ. გ., რომელიც წითლაკალში სცხოვრობს, შეატყობინა იმათაც, რომელნიც პირველ შეთავსებას არ დასწრებიან, და მეორე დღეს 23 აპრილს, ყველანი, კეტით თუ სხვა იარაღით აღჭურვილნი, სოფ. წევაში უნდა წასულიყვნენ, რომ ძალით მიცვალებული დაესაფლავებინათ, და მართლაც წავიდნენ. წეველებიც დახვდნენ, ვისაც როგორ შეეძლო. წითლაკალელები და წეველები დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს სიტყვით, მხოლოდ დავიდარაბა პირველად ვერავინ გაბედა, თორემ, თქვენი მტერი, ერთის მაგივრად ორიც შეიქნებოდა დასამარხი. მღვდელი, მამასახლისის თანამდებობა სახლში დაეწყებოდა და როდესაც რიგი იყო შუაში ჩამდგარიყო და ორივე აღელვებული მხარე დაემშვიდებინა, ჰყვიროდა: «ნუ გეშინიათ, წითლაკალელებო, აქ დაჰკარით თოხი და ბარი დაჰკარით, ვინ რას გიზამთ». რადგანაც წითლაკალელების რიცხვი მეტი იყო, სძლიეს წეველებს და თავიანთი წადილი მაინც აღასრულეს, მიცვალებული წინა დღესვე დამზადებულს ალაგს დაასაფლავეს.

ამაზედ წეველებმა საჩივარი მიართვეს შორაპნის მაზრის უფროსს, ბ-ნს ჯაყელს. ბ-ნმა ჯაყელმა ხალხი დაამშვიდა თავისის განკარგულებით და გამოძიება ადგილობრივ პოლიციის ბოქაულს ბ-ნს ღოღაძეს მიანდო.

მაყურებელი ბესარიონ გაჩეჩილაძე

---

გამოიტანეს და სამნივე წირვის დარეკამდის განუწყვეტლად მუსაიფობდნენ. როდესაც წირვა დარეკეს, ყველანი მხიარულად გაემგზავრნენ საყდრისაკენ, მაგრამ უფრო მხიარული ივანე იყო: იმან მოილაპარაკა თავის საქმეზედ და მასპინძლებიც შეჰპირდნენ, — მოგიხერხებთ, რაცა გსურთო.

—

იმ დღეს სული-წმინდის მოფენის მეორე დღე იყო და საყდარში ბევრი ხალხი მოგროვდა. როდესაც წირვა გათავდა, მასპინძლები და ივანე პეტრეს ძე დასხდნენ ცაცხვის ძირში და მუსაიფი დაიწყეს. მოხუცი გლეხ-კაცები მიდიოდნენ იმათთან და მოწიწებით თავს უკრავდნენ, როგორც ბატონებს, ისე ივანე პეტრეს ძეს.

— რასა იქთ, ხომ ყოჩაღადა ხართ! — ჰკითხა ბატონმა ივანემ გლეხებს.

— გახლავართ ღვთისა და ბატონის წყალობით გვარიანად, მიუგო რამდენმამე ხმამ.

— ჰაი, შვილებო, რაღა გიჭირსთ? ბატონისაგან განთავისუფლდით და ყველაფერი, მაგრამ თქვენ მაინც კარგი ბატონი გყავდათ, არც მაგის ხელში იყავით გლახად.

— აცოცხლა ღმერთმა! როგორაც ბატონი ეგ იყო ჩვენთვის, ჩვენც იმისთანა ყმები ვიყავით მაგისთვის, მიუგო ერთმა მოხუცმა.

— ჰო, ბატონი მაინც არ უნდა დაივიწყოთ, სამსახური კიდევ გმართებთ.

— რაც შეგვიძლიან, სამსახური, როგორც არ დაგვიკლია, არც აწი დავაკლებთ, მიუგო გლეხმა.

— სხვა ხომ არაფერმა შეგაწუხათ? როგორი მოხელენი გყავთ?

— თქვენისთანა-კი ვერ არიან, ბატონო, და ისე არაფერი უჭირთ.

— ამისთანა კაცი მთელს გუბერნიაშიაც ძვირია, მაგრამ რა ვქნათ, ცოტასაც უნდა დავჯერდეთ ხანდისხან, — სთქვა ბატონმა. კაი კაცი რომ იყო, იმიტომაც უფრო დიდ ადგილზედ გადაიყვანეს.

— იცოცხლოს და ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ რომ გვინდოდეს, როგორც იმისთვის სჯობდეს, ისე ამყოფოს! იმედია, არც იქიდამ დაგვტოვებს უყურადღებოდ, — სთქვა კვლავ მოხუცმა გლეხმა.

— არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მე ყოველთვის მახსოვხართ გლეხები და რაშიაც-კი გამოგადგებით, ჩემს შრომას არ დავზოგავ.

მაშინ, როდესაც ძველი მოხელე და იმისი მადლობელი გლეხები (ბატონი ივანე პეტრეს ძე, როგორც მოხელე, ბევრს თავისზე უარესსა სჯობდა) ერთმანეთს ისე ტკბილად ესაუბრებოდნენ, ქალბატონი რაღასაც გაცხარებით ეუბნებოდა ეკას, რომელიც იმის ფეხთით იჯდა. ეკას ჯერ გაუგებრობა და უკმაყოფილება დაეტყო, მაგრამ რამდენი ხანიც გადიოდა და ქალბატონიც ხელების ქნევით ამტკიცებდა თავის ნალაპარაკევს, ეკას სახე თან-და-თან ეცვლებოდა და ბოლოს სულ გაუბრწყინდა. ეტყობოდა, ეკას სჯეროდა ის, რასაც ეუბნებოდნენ; ეტყობოდა, რომ ეკა გაიტაცა იმ მშვენიერმა, სხვა-და-სხვა ფერად დახატულმა სურათებმა, რომელიც თვალ-წინ წარმოუდგინეს; ეტყობოდა, იმისი ნორჩი, მგრძნობიარე, მიმზიდველი გული მოჰხიბლა იმ ბედნიერებამ, რომელიც, ქალბატონის სიტყვით, მოელოდა ეკას; ეტყობოდა, რომ ეკას ჩაექდო გულში ქალბატონის რჩევა და სხვა-და-სხვა ნატერით სავსე გონებამ მართლა ყოველ იმის ტოლისათვის მიუწდომელი ნეტარება დაუსახა თვალ-წინ. ხუმრობა ხომ არ არის! ეკა, უბრალო ყაზახის შვილი, რომელიც თითო კაბას ძლივს იცვლიდა წელიწადში, ეხლა იმისთანა წარჩინებულის კაცის შვილობილი უნდა გამხდარიყო! ის ეკა, რომელსაც ჩვენის სოფლის მეტი თავის სიცოცხლეში არაფერი უნახავს, ეხლა ღირსი უნდა გამხდარიყო ქუთაისის ნახვისა, იმ ქუთაისისა, რომელზედაც, ვინ იცის რამდენს რასმეს ლაპარაკობდნენ! ოჰ, ვინ მოესწრება ამისთანა ბედს ეკას ტოლებში? ვის ეღირსება ეს ნეტარება? ამისთანა ბედი უფრო ჰკვიანსა და გამოცდილსაც-კი აღაფრთოვანებდა და ეკა ხომ სიხარულით ცას უნდა დასწვდომოდა. რასაკვირველია, ეკა თავის მხრით დაჰყვა ქალბატონის რჩევას, და ეხლა მხოლოდ იმის დედ-მამაზედ-ღა იყო დამოკიდებული თავიანთ შვილის გაბედნიერება. მაგრამ განა ისინი-კი იტყოდნენ ამაზედ უარს? რასაკვირველია, არა. კიდეც რომ არ მოსწონებოდათ ეს აზრი, უარს მაინც ვერ გაჰბედავდნენ.

ქალბატონმა, როდესაც ეკაზედ ასე ადვილად გაიმარჯვა, ბატონსა და თავის სტუმარს უთხრა:

— არ წავიდეთ აწი სახლში, ბატონო?

— კი, ბატონო, მიუგო სტუმარმა და დააცქერდა ქალბატონს, თითქოს უნდა იმის სახეზედ ამოიკითხოს თავისი ბედი და უბედობაო. ყველანი ადგნენ და შინისკენ გაემგზავრნენ. ბატონმა ივანემ ერთი-კი მოიხედა უკან, რომ დაენახა ეკა, და მერე აჩქარებით იკითხა:

— რა ჰქენით, ბატონო?

— კი, ბატონო, თანახმაა; ძალიანაც უხარიან თვითონ და არც იმისი დედ-მამა იტყვის უარს.

— წირვაზედ არ ყოფილა დღეს იმისი არც დედა და არც მამა?

— არა. საბრალოს მამა ჰყავს ძალიან ავად და დედა ავადმყოფს ვერ მოშორებია. დები-კი იყვნენ.

— ისინიც მაგრე ლამაზები არიან, ბატონო?

— არა, ბატონო, ჩვენი ნათლული ყველაზედ უმცროსია და ყველასაც სჯობია.

— მაშ როდის შევიტყობთ ეხლა ჩვენ, იმის დედ-მამაც თანახმანი არიან თუ არა?

— ეკა შეგვატყობინებს ნასადი-

# რუსეთი

ამ ოცისა და ოც-და-ხუთის წლის წინად დაჰბერა რუსეთს ფრიად ცხოველ-მყოფელმა სიომ და მოიტანა თან განთავისუფლება ყმებისა, ანუ ბატონ-ყმობის გადავარდნა და მრავალი სხვა დიდად ნაყოფიერი და სასარგებლო საერო და სამოსამართლო ცვლილებანი. დადგა ხანი განცხოველებისა და ქვეყნის წარმატებისა. ერის გონებამ გამოიფხიზლა, სულმა თავისუფლად ამოისუნთქა და ქვეყანამ ფრთები შეისხა. ისეთის მხნეობით და ციებ-ცხელებით არას დროს არ ულვაწნია რუსეთის გონებასა, მწერლობასა, რუსეთის სახელოვანს კაცებს, როგორც მაშინ; ისეთი ძლიერი მიზიდულება სინათლისა და სიკეთისაკენ არას დროს არ გამოუჩენია რუსეთს, როგორც მაშინ. ეს ის დრო იყო, როცა ფეხზედ დადგა ჟურნალ-გაზეთობა, თავი იჩინა საუნივერსიტეტო მეცნიერებამ, ფესვი გაიდგა სწავლა-მეცნიერების სიყვარულმა და ყოველმა საერო, საზოგადო, სასარგებლო მოღვაწეობამ. ამავე დროს არ დასტოვა უყურადღებოდ დედაკაცობაცა, ყმაწვილ-ქალობაცა და მათთვისაც იზრუნა და დააარსა რამდენიმე მაღალი სასწავლებელი სამკურნალო და საპედაგოგიო მოსკოვსა და პეტერბურგში. ვის არ ახსოვს ის სიხარული, რომელიც გამოიწვია მაშინ განათლებულ რუსთა შორის ამ სასარგებლო საქმემ. მხოლოდ თითოოროლა ხმა სიბნელის მოყვარეთა იმოდა დედაკაცის სწავლა-განათლების საწინააღმდეგოდ. უფროს-ერთი ნაწილი-კი, დიდი უმრავლესობა და თვით მთავრობაცა დიდის თანაგრძნობითა და იმედით მოეპყრო ამ საქმეს. მაღალმა დედათა სასწავლებლებმა მრავლად მიიზიდეს რუსეთის ყმაწვილ-ქალობა, რომელიც მწყურვალებით დაეწაფა სწავლას, წიგნსა და დიდის გულ-მოდგინეობით, ბეჯითობით, თავ-განწირულებით შეექიდა არა მარტო ცოდნის შეძენის სიძნელესა, არამედ ათასს სხვა გაჭირებასა და დაბრკოლებასაცა ამ უჩვევს, ახალს საქმეში, სრულიად ახალ გარემოებათა შორის. მაგრამ ყველა ამ დაბრკოლებას სძლია ქალის სუსტმა აგებულებამ და გამარჯვებულმა რუსეთის ყმაწვილ ქალობამ მალე გადუხადა სამსახური თავის ქვეყანას. ნასწავლი, უმაღლეს სკოლაში გონება-განათლებული ქალი გაჩნდა მრავლად დაბად და სოფლად და მოჰფინა სხივი ცოდნისა, განათლებისა სიბნელესა და უმეცრებაში მყოფს ხალხსა. გაჩნდა ნასწავლი ქალი უდაბნოში და დაიწყო ღაღადისი სასოფლო სკოლაში, მკურნალობა, ბებიობა, საერო სამკურნალოებსა და სათემო სამკურნალო სადგურებში 1877—78 წწ. რუსეთის ნასწავლმა დედაკაცმა ოტეირთა მოვლა დაჭრილთა ჯარის-კაცთა და ჭეშმარიტის გულ-მტკივნეულობით, სწორედ დედაკაცებურის გულ-ჩვილობითა და ფუფუნებით დიდი ღვაწლი დასდო თავის მშობელს ქვეყანასა.

აი ასეთი იყო ის სარგებლობა და სამსახური, რომელიც მიუძღვით დედათა უმაღლესს სასწავლებლებს რუსეთის წინაშე. სამწუხაროდ, პეტერბურგში უკვე მოისპო არსებობა ამ სასწავლებლებისა. მოსკოვში კიდევ ამ დღეებში გაუქმდა 1872 წელს პროფესორის გერიეს მიერ დაარსებული უმაღლესი დედათა კურსები. თექვსმეტი წელიწადი ემსახურა ეს სასწავლებელი რუსეთს, 14-ჯერ გაათავა კურსი ამ კურსებზე ასმა და ორასმა ნასწავლმა ქალმა და გაიფანტა მკვიდრთა შორის ნათელის გასაფანტავად და სიკეთის სათესად. ვინ იცის, რამდენნი მათგანი იღვწიან დღესაც საპედაგოგიო სარბილზე და თავიანთ შეძლებისამებრ ემსახურებიან დიდს საქმეს ყმაწვილების აღზრდისა და წურთვნისას! რაც დრო მიდიოდა, კი არა კლებულობდა, უფრო და უფრო მატულობდა რიცხვი კურსების მსმენელთა და ქვეყანაც უფრო და უფრო ჰგრძნობდა დედათა განათლების საჭიროებასა. „ამასთანავე უნდა შევნიშნოთო — ამბობს გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი, — რომ ამ კურსებზე არას დროს არავითარს აგიტაციას, სხვათა ფეხის ხმის აყოლას თავი არ უჩენია; პირ-იქით, მსმენელნი წყნარად, თავისთვის აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და არ-კი ფართიფურთობდნენ და არა ჰყვიროდნენ, — აი ჩვენ რა ყოჩაღები ვართო. სახელი და დიდება პროფესორს გერიეს, რომელიც არ შეუშინდა არავითარს დაბრკოლებასა და 16 წელიწადი გულ-მოდგინედ აწარმოვა ეს საქმე. საკითხავი მხოლოდ ეს არის, რისთვის, ნეტა რისთვის იღუპება ასეთი კეთილი საქმე? ამის მიზეზი არც ის არის, რომ ღონე და შეძლება არა ყოფილიყოს, არც ისა, რომ მასწავლებლებს უარი ეთქვათ თავიანთ საქმეზე. კურსები მოისპო და მიზეზი-კი დღესაც არავინ იცის, რათა და რისთვის? ჩვენის აზრით, კურსების გაუქმება ნაყოფია მხოლოდ სამწუხარო და სავალალო ჰო-არაობისაო“.

---

# უცხოეთი

საფრანგეთი. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბულანჟე დაჰპირდა თავის მომხრეებს, მალე ცალკე წიგნს დავბეჭდავ საფრანგეთის მდგომარეობის შესახებაო. ეს წიგნი ახლა უკვე გამოსულა სტამბიდამ, სათაურად აქვს «შემოსევა გერმანელებისა» და გაზეთებში წინასიტყვაობის შინაარსია კიდეც მოთხრობილი. წინასიტყვაობაში ექს-გენერალი ბულანჟე ამბობს სხვათა შორის: „კანონმდებელი და ოფიცერი ერის აღმზრდელნი უნდა იყვნენო. პირველი საშინაო საქმეებს უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს, ხოლო მეორე — საგარეო საქმეებსა. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, ვითომ საგარეოსა და საშინაო პოლიტიკას შუა დიდი ზღვარი იყოს; ერთიცა და მეორეც ერთმანეთზედა ჰკიდიან. ორთავეს ერთი საერთო აზრი აქვსთ: დააკმაყოფილონ ზნეობრივი და ქონებრივი ინტერესები ერისა და პატივისცემით მოეპყრან საერო დროშასა. საქმე დაწესებულებანია. ამ დაწესებულებათა აგებულებაზედ დამოკიდებული ბედი და წარმატება ხვნა-თესვისა, მეურნეობისა, ვაჭრობისა, მრეწველობისა, მეცნიერება-ხელოვნებისა. მშრომელს ერს ნება აქვს ითხოვოს, რომ თავისი შრომის ნაყოფი თვითვე მოიმკოს კარგის კანონების წყალობითა, ისეთის საერო და სამხედრო კანონების წყალობითა, რომელნიც შინაც მშვიდობიანობას ამყარებდეს და გარეთაც — აზრუნს და სახელს არ უტეხავდეს ქვეყანას. სამხედრო კანონებმა უნდა დაიცვას ერი შინ ტახტის მემკვიდრეთა და უზენაესის უფლების წარმტაცებელთაგან და გარეთ — მტრის შემოსევისა და თავ-დასხმისაგან. ეს არის საფუძველი ყოველის სადემოკრატო სახელმწიფო ცხოვრებისა. თვითოეულს კაცს მხოლოდ იმდენადა აქვს მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში, რამდენადაც ეხმარება აშენებას, გამაგრებას და განმტკიცებას ამ დიდის საერო აგებულებისას. ათასი წვრილმანი გარჩევაც რომ იყოს თვითოეულის შრომასა და საქმეს შუა, ყოველივე ეს გარჩევა არაფერსა ნიშნავს. ყველას თვალ-წინ სჩანს და გაშლილია დიდი საერთო საღვაწი და საქმე — დიდება ერისა. ის ბრმანი და ბეცნი, რომელნიც გაიძახიან, რომ ჯარი და ლაშქარი უნდა ჩუმად იყოს და იბრძოდესო, აი რა პასუხის ღირსნი არიან: თუ ჯარს ხმალი ქარქაშში აქვს, პოლიტიკა უბრძანებს, არ ამოიღოს და ჰაერში არ დაიწყოს ქნევა. ჩვენი დრო ისეთი დროა, რომ ჯარნი მზად არიან ერთმანეთს ეცნენ და დაჭამონ. განა ასეთს დროში შეიძლება უბრძანოთ ხალხს, იჯექ შენთვის ჩუმად და უცქირე სამშობლოსათვის მავნებელს შეცდომასა და მერე, როცა საშიშროება ცხვირ-წინ იყოს, მაშინ-ღა დაუძახო: აბა, თქვენი იმედი გვაქვს, თქვენ უნდა დაგვიხსნათ სირცხვილისაგან, თქვენ უნდა დაგვიფაროთ წარწყმედისაგანაო. კარგია სწორედ! დადგება თუ არა დრო საშიში, პირველადვე თქვენ უნდა გასწიროთ მსხვერპლად თქვენი ღირსებაცა, თქვენი სახელიცაო. არა, მე არ დავთანხმდები, რომ საცა რამ დაჰკლან, იქ ჩვენც ქათმებივით ზედ წაგვკლან...

„მე მდაბიურად ავუხსნი ხალხს, რა უბედურება და მწარე დღენი გველის წინად. დღე ერმა შეადაროს ძველი ამბები ერთმანეთსა და დაასკვნას თავისი აზრი... ჭეშმარიტება ილის და სხივივით გაანათებს ყოველს კუთხეს ქვეყნისას, ყოველს ბნელსა და ცივს სადგურს, ქოხს, სახლოსნოს, გლეხ-კაცის მიწურს. როცა ერი გაიგებს წარსულს და იმ წარსულს შეადარებს დღევანდელსა, ამ შედარებაში ჰპოვებს ძალას ვაჟკაცობისას, აღმატებულებისას, უკეთესის მერმისისას.

„მაგრამ მე მარტო მამას არ მივმართავ ამ სიტყვებითა და სახეში მყავს მდედრიცა, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს საფრანგეთში. მერწმუნეთ თქვენ ყოველნო — დიდი-დედანო, დედანო, გათხოვილნო და გასათხოვარნო, ცოლნო და დანო, რომ დღევანდელს ჩვენს ყოფაში ისე გულსატკენი და გულ-დასაწყვლი საქმე არა არის-რა თქვენთვის, როგორც საქმე საფრანგეთის დაცვისა და თქვენის სამშობლო ერის დაფარვისა. მოგვეცით ზნეობით, სულით ძლიერი და ხორცით მაგარი თაობა და თქვენი საქმე ღირსეულად იქმნება შესრულებული. როგორც პატრიოტი, მე სულითა და გულით მოწოდებული ვარ, რომ საშინელი ზარი ომისა ჯერ კიდევ დიდხანს აგვაშოროს ბედმა თავიდამ. მაგრამ საუბედუროდ, დიდის ქვეყნის ბედ-იღბალი იმის მეთა სურვილსა და ნება-ყოფლობაზედ არ არის დამოკიდებული. შესაძლებელია, რომ ომი უეცრად ასტყდეს. გულ-დასმით და გულდინჯად უნდა ვიქონიოთ სახეში ეს უბედურება და ვემზადებოდეთ ყველანი განურჩევლად. უნდა ვემზადებოდეთ, თუ გვინდა, რომ გრიგალმა მალე გადიაროს და ავდარმა არ გვავნოს“.

---

# წვრილი ამბები

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ მე-III ექიმები მეკენზი და ბერგმანი რაღაზედაც შემოსწყრნენ ერთმანეთს და ესლა დიდი ბასსი და გამათობა აქვსთ ატეხილი გაზეთებში. აი ნიმუში იმ წერილებისა, როგორსაც სწერენ ეს ბატონები ერთმანეთს. ბერგმანი სწერს მეკენზის: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ რადგან თქვენ გაზეთებში გამკიცხეთ, დღეიდგან თქვენთან ლაპარაკიდამ არავითარი ლაპარაკი არა მსურს, გარდა იმისა, თუ ლაპარაკს დავიწყებთ იმპერატორის სენის კურნებისა და მორჩენის შესახებ“. ექიმი მეკენზი სადარბაზო ბარათით შემდეგს პასუხს უთვლის. „ექიმი მეკენზი გაუწყებთ, რომ თქვენი წერილი მიიღო, ხოლო უნდა აღიაროს, რომ არ ესმის, სხვა რაზედ უნდა ჰქონოდეს თქვენთან უსიამოვნება, რადგან არ ახსოვს, თქვენთან ელაპარაკნოს როდისმე სხვა რასმეზე, თუ არ იმპერატორის კურნების შესახებ“. და

---

ლევს და, თუ თანახმა არ გახდნენ, მერე ან აქეთ დავიბარებ დედა მისს და ან მე თვითონ წავალ იქ.

— ოო, სწორედ კარგი იქნება, ბატონო! აბა, თქვენ იცით, ეს ერთი საქმე დამავალეთ, როგორც თქვენის ოჯახის მეგობარს, და მაგიერი მე მკითხეთ მერე.

— არაფერია, ბატონო, ეს რა დავალებაა.

ამ ლაპარაკით ისინი ეზოში შევიდნენ. ქალბატონი წინ-და-წინ წავიდა, რომ სადილისათვის დაეხედა; ბატონი და ივანე წყნარად მიდიოდნენ.

ამ დროს იმათ შემოხვდათ მუნჯია, რომელიც ჭიშკრისკენ მოდიოდა. აქ გამოივლიდა ეკა და იმის მზერით უნდოდა, მცირედ არის მაინც, დამტკბარიყო.

აქამდე მუნჯია ეკკლესიაშიაც დადიოდა, მაგრამ ეხლა ეშინოდა, რადგან პატარა ბიჭები საშინლად ემტერებოდნენ და ამისათვის ჭიშკართან თუ ნახავდა ხოლმე ეკას.

მუნჯია ბატონმა გააჩერა და ივანეს ქება დაუწყო. მუნჯიამ ერთი უგემურად შეხედა ბატონს ივანეს, ჭიშკარზედ ცდა. შორიდამვე იცნო მოკაკვა საჩვენებელი თითი, ამოიოხრა და წავიდა. იმას ივანე არ მოსწონდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ ის მეცილება ჩემს საყვარელს, ძვირფასს ეკასაო.

—

დიდხანს არ დასჭირებია მუნჯიას თავისი ეკა, რომელსაც გარს ეხვია მთელი გროვა ყმაწვილ ქალებისა, რომელთა შორის ისე ერჩეოდა ეკა, როგორც ვასკვლავებში მთვარე. იცნო მუნჯიამ ეკა და მორთო მხიარული წკმუტუნი, თითქოს ძაღლმა დაინახა თავისი დიდის ხნის უნახავი პატრონიო.

აი კიდეც მოუახლოვდა ეკა მუნჯიას და შეჰხედა თავისის დიდრონის, გრძნობით სავსე შავის თვალებით. მუნჯიას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, იმას ეგონა, რომ ჩვეულებრივად მოვა ჩემთან ჩემი ეკა და მკითხავს რასმეო, მაგრამ ეკა დაუმხარდამხარდა იმას, კიდევ შემოჰხედა და აუჩქარა ფეხს. მუნჯიამ, დაინახა თუ არა, რომ ეკა აღარა ჩერდება, საზარლად დაიბღავლა, თითქო პატარა ხბომ დაუძახა დედასაო. ეკამ ერთი კიდევ შემოჰხედა და დაუძახა, რომ ეხლა შენთვის აღარა მცალიანო. მუნჯიამ გაიგო, საქმე რაშიაც იყო, და საშინლად შეწუხებული გასცქეროდა ეკას, რომელიც ისეთის აჩქარებით მიილტვოდა იმისგან. მუნჯიას სახე ისეთ ნაირად იყო ეხლა დაღმეჭილი, რომ იმისი ნახვა კაცს შეაშინებდა. საბრალო მუნჯია დღეს პირველად დაემდურა ეკას, იმ ეკას, რომელიც იმისთვის ციდამ ჩამოსული ანგელოზი იყო და რომელსაც ღმერთივით შეჰხაროდა.

დიდხანს იდგა მუნჯია ჭიშკარზედ და უცქეროდა მიმავალს ეკას იმ დრომდე, სანამ სულ არ მოეფარა თვალთაგან, და მერეც დიდხანსა ჰქონდა მიშტერებული თვალები იქითკენ, საითაც ეკა გაჰქრა. ბოლოს გაუელვა რაღაცა ფიქრმა თავში, გააღო ჭიშკარი და უნდოდა გასულიყო. იფიქრა გულში, რომ გამოვეუდგები უკან ეკას და გავიგებ, რას ნიშნავს ასეთი გულ-გრილობაო. მაგრამ ამ დროს დაინახეს მუნჯია პატარა ბიჭებმა, რომელნიც საყდრიდამ მოდიოდნენ, და მორთეს კიჟინა. ერთმა მათგანმა კიდეც მიირბინა იმასთან და მოუღერა ჯოხი, ვითომ დასარტყმელად. გაბრაზებულმა მუნჯიამ მოიხედა უკან, მოჰკიდა ჯოხს ხელი, მიითრია უცებ ბავშვი და დაბღუჯა ხელში.

ამ დროს მოცვივდნენ დანარჩენი ბავშვებიც და დაუშინეს მუნჯიას ჯოხი; ახლოს მისვლა-კი ვერავინ გაბედა, რადგან მუნჯია მხეცივით აბრიალებდა თვალებს. საბრალო ბავშვი თან-და-თან უმატებდა ყვირილს და დანარჩენმა ბავშვებმაც მორთეს საზარელი ღრიალი. ბავშვების ყვირილზედ გამოცვივდნენ ბატონის სახლიდამ ბიჭები, სხვებიც მოვიდნენ და მიესივნენ მუნჯიას, მაგრამ ადვილი არ იყო მუნჯიას ხელიდამ ბავშვის გამოგლეჯა. ის გაავთრებული დასჩერებოდა თავის მსხვერპლსა, თითქოს უნდა თვალებით გადაყლაპოს საბრალოვო. ამ გვარად გამხეცებული მუნჯია ჯერ არასოდეს არა ყოფილიყო და ყველას უკვირდა, ვინ მისცა ამდენი ღონე ამ საცოდავს არსებასაო.

ძლივ-ძლივობისას გამოართვეს ბავშვი მუნჯიას, მაგრამ ახლა იმისი დაკავება გაუჭირდათ. მუნჯია ბრდღვინავდა ტყვია ნაკრავ დათვივით და ხან ერთს მივარდებოდა და ხან მეორეს. არ იქნა, ვერას გზით ვერ გააჩერეს. ვინ იცის, რამდენი ურტყეს, მაგრამ ვერა მოუხერხეს-რა. მუნჯიას გადარეულივით გადმოვგდო ენა და ქლოშინებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, დააშვიდეს და წაიყვანეს სახლში. საწყალი ადამიანი ბავშვივით ზლუქუნებდა და ისე მიდიოდა. მიიყვანეს შინ და ეხლა ბატონმა და ქალბატონმა დაუწყეს ჯავრობა, მაგრამ მუნჯია არავის ყურადღებას არ აქცევდა: სტიროდა გულ-ამომჯდარი და თხილის კაკლის ოდენა ცრემლებსა ჰყრიდა თვალებიდამ.

ივანე პეტრეს ძეც მივიდა მუნჯიასთან და ფერაობა დაუწყო. ამოიღო ბატონმა ივანემ წვრილი თეთრი ფული და ჩაუყარა ხელში. მუნჯიამ დაჰხედა ფულს, მერე შეხედა ნაღვლიანად ივან პეტრეს ძეს, ერთი საშინლად შეჰბღავლა და გადაჰყარა ფულები.

მუნჯიამ გამწარებით დაუწყო ცქერა, როცა ყველანი დასწყდნენ ასალებად, და არ იცოდა, რა ექნა? ოჰ, რამდენად მაღლა იდგა მუნჯია ყველაზედ, ვინც იქ იყო, და რამდენად-კი იყო დაჩაგრული და დამდაბლებული!..

(შემდეგი იქნება)

აი აგერ მთელი წელიწადია, რაც ეს ქმამები ერთმანეთში ვერ მორიგებულან ფრიდრიხ მე-III სენის მოკლისა და რჩენის თაობაზე.

— „New-York Herald“-ში დაბეჭდილია მადრიდიდგან მიღებული დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ მადრიდში ხოლერამ თავი იჩინა და 30 კაცი უკვე ავად გახდა ამ ჭირითაო.

— რომში დიდი ბაასია თურმე ატეხილი იმ ამბავზედ, რომელიც მოხდარა მაშინ, როცა შვეციის მეფეს პაპი უნახავს. მეფეს პაპისათვის, იმის მაგიერ, რომ ხელზე ემთხვეოდა მღვდელთ-მთავარსა, ორივე ლოყა დაუკოცნია. ასევე დაარღვია ერთხელ ჩვეულება და ადრევე მიღებული წესი გენერალმა გრანტმა; გრანტი შევიდა პია მე-IX-სთან, ხელი ჩამოართვა და უთხრა: „დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ, სერ!“-ო.

— შვეიცარიაში უნტერვალდენის ოლქის მმართველობას გამოუცხადებია, რომ წლეულს მკვიდრთა გარდასახადი არ გამოერთმევათ, რადგან ხაზინაში იმდენი ფულია, რომ ხარჯს ადვილად დაჰფარავსო.

— საფრანგეთის მამულიშვილთა საზოგადოების წესდებაში შემდეგი შესავსებელი პარაგრაფი წაუმატებიათ: „მამულიშვილთა საზოგადოებას საგნად აქვს უფრო საუკეთესოდ და განსაკარგ-განსაუმჯობესებლად სცვალოს სარესპუბლიკო დაწესებულებანი, გადასინჯოს ფრანკფურტის ხელ-შეკრულობა და საფრანგეთს დაუბრუნოს ელზასი და ლორენი“.

— პარიჟში გაიმართება ამ ახლო ხანს გამოფენა ვიქტორ ჰიუგოს მიერ დახატულ სურათებისა.

— ამერიკის გაზეთები ამბობენ, რომ ამ დღეებში სახელმწიფო მდივანი ბაიარდი ჯვარს დაიწერს ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტ კლივლენდის ქვრივს სიდედრ ფოლსზედა, ასე რომ კლივლენდი სიძე იქმნება თავის პირველის მინისტრისაო.

— პარიჟში თავი მოუკლავს ორს ყმაწვილს ქალსა, ცამეტისა და თოთხმეტის წლისას. ამ ამბავში საკვირველი ის არის, რომ მეორეს თავი პირველისათვის უმსხვერპლებია, ძალიან ჰყვარებია და თავის მეგობრისათვის რომ ვერაფრით დაუშლებია თავის გაწირვა, თითონაც იმასთან ერთად დაულევია საწამლავი.

— მადრიდის ერთი ცნობილი ეკლესიათაგანი, სახელდობრ წმ. ხოზეს სობორო, დიდ-ძალს მრევლსა და მლოცველთ იზიდავს თურმე, რათა მოისმინონ ქადაგება მორტარისა. ამ მორტარის თავ-გადასავალი ძალიან საყურადღებოა. ამ ოც-და-ათის წლის წინად მორტარი ებრაელი ყოფილა, ხოლო მიმას ჩუმად მოუნათლავს კათოლიკეთა სარწმუნოებისამებრ და შემდეგ პაპა პია მე-IX გაუგზავნიათ ახლად მონათლული ყმაწვილი. პაპის ძალიან შეჰყვარებია ბავშვი, მშვენივრად აღუზრდია და სამღვთისმეტყველო სწავლა მიუღებინებია, ასე რომ ამ ჟამად მორტარი 22 ენაზედა ჰლაპარაკობს და დიდი ნიჭი აქვს მჭევრმეტყველობისა.

## გასართობი

„Dramaturg Blättern“-ში მეტად საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი არტისტებსა და არტისტ-ქალებზე. ამ ცნობებიდგანა ჩანს, რომ ამ 1888 წლის 4 იანვრამდე გერმანიასა, ამერიკასა, შვეიცარიასა და ავსტრო-ვენგრიაში ხელ ყოფილა 38,428 გერმანელი არტისტი, არტისტი-ქალი, მომღერალი და მოცეკვავე. იტალიაში 19 ათასი არტისტია, ინგლისში—18,000, საფრანგეთში—25,000, რუსეთში—8,000, რუმინიასა და სერბიაში—3,800. 38,428 გერმანელ არტისტთ შორის თითქმის მესამედს საშუალო სწავლა-განათლება მიუღია და ხელოვნების სიყვარულით განმსჭვალულთ არტისტობა დაუწყიათ. ამათში 400 კაცს დოქტორის ღირსება აქვს და ადრე პროფესორები ყოფილან, 631 კაცი მწერალი და ჟურნალისტი ყოფილა, 583 კაცამდის სახელმწიფო ეგზამენში თავი გამოუჩენიათ. არტისტ-ქალებში 1861 ქალი მასწავლებლადა და აღმზრდელადა ყოფილა. არტისტებში ვაჭართა წოდებას ეკუთვნის 13,004 კაცი, რომელთაც რეალური სასწავლებელი დაუსრულებიათ. დანარჩენნი ხელოსანთა წოდებას ეკუთვნიან. გერმანიაში თითქმის ყველა ხელობისანი ხდებიან არტისტებად; იმათ შორის არის ხარაზი, თერძი, ჩილინგდარი, ხარატი, შპალერების გამკვრელი, მეპურე, მეუდე, ყასაბი, მეჯინიბე, მაშინების გამსწორებელი, მებაღე, ფეიქარი და 61-მდე კიდევ დალაქი. არტისტ-ქალებში ნახევარზედ მეტს დედათა სასწავლებელი დასრულებული აქვს. სცენაზედ უმეტესად შედიან 16—17 წლის ყმაწვილი ქალები, მომღერლებად 18—20 წლისანი შეიქმნებიან ხოლმე.

* *

ვაშინგტონში შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა. ამ ორის კვირის წინად იქ ჯვარი უნდა დაეწერნა თურმე ვიღაც დევისს მისს ადა აშეროზე. მისტერ დევისი მისულა თავის საცოლეს სახლში დანიშნულს დღეს, სწორედ შუადღისას, დაპირებისამებრ, რათა ეკკლესიაში წასულიყვნენ ჯვარის დასაწერად. მისულ სასიძოსათვის საპატარძლოსას გამოუცხადებიათ, რომ ქალი ჯერ ჩაცმული და მზად არ არისო. სასიძოს დაუწყია მოუთმენლად სიარული წინა და უკან ოთახში, ბოლთის კვრა. გაუვლია ნახევარ საათამდე დროს, მაგრამ საპატარძლო მაინც ვერ მომზადებულა. მისტერ დევისს შუბლი შეუკრავს და წარბები შეუჭმუხვნია. ოთახში უეცრად შესულა უმცროსი და, მისს ანნა, და უთქვამს სასიძოსათვის:

— ადა ერთს საათზე ადრე ვერ მოემზადება; თუ გნებავთ, იმ დრომდე რომელსამე არაკს გეტყვით, გაგართობთ, რომ არ მოიწყინოთო.

წარბ-შეკრულს სასიძოს გაუღიმნია და ლამაზ და მშვენიერ მისს ანნასათვის უთქვამს, რომ წამო, ეკკლესიაში წავიდეთ და იქ მოვიცადოთო. მისს ანნა დათანხმებულა და გამგზავრებულან ეკკლესიისაკენ. ერთის საათის შემდეგ, როცა ეკკლესიაში მისულან მიწვეულნი სტუმარნიცა და საპატარძლოც, მისტერ დევისს გამოუცხადებია, რომ ამდენს ხანს ლოდნა მომბეზრდა და მისს ანნაზედ ჯვარი დავიწერეო...

# დეპეშა

4 მაისი

მერვი. ავღანის მთავრობამ დაიჭირა რამდენიმე ოჯახი სალორებისა, რომლებიც ბინადრობდნენ თურქმენის სამხრეთ-დასავლეთის მინდვრებში და დროებით საცხოვრებლად მიდიოდნენ ავღანისტანში. მთავრობა სალორებს ბაჟსა სთხოვდა. 12-ს აპრილს საზღვარზე სალორები და ავღანელები ერთმანეთს თავს დაესხნენ თოფ-იარაღით და ორსავე მხრით ოთხ-ოთხი კაცი მოჰკლეს. სანამ ბრძოლის ადგილზე მივიდა პოლკოვნიკი ალიხანოვი, სალორები რუსეთის საზღვრებში შემობრუნდნენ. წესიერება უკვე აღდგენილია.

პეტერბურგი. ივლისის დამლევს ან აგვისტოში უნდა გამოსცენ ახალის ნიმუშის ქაღალდის ფული. ას მანეთიანი ძველისავე ნიმუშისა დარჩება; ოც-და-ხუთ მანეთიანი მიხაკის ფერისა იქმნება; სხვა ფული ძველისავე ფერისა დარჩება, ხოლო სხვა-და-სხვა დღეს არსებულის ფულის ფერადებით შეამკობენ. ახალს ფულებზე არ იქნება არავითარი სურათი და მხატვრობა. უმთავრესი განსხვავება ის იქნება, რომ ახალი ფული დაიბეჭდება სქელს აბრეშუმის ქაღალდზე, რომლის გაკეთებას ვერ შესძლებენ ყალბის ფულის მკეთებელნი, იმიტომ-რომ ამ გვარ ქაღალდის მომზადებისათვის დიდი და ძვირი მაშინებია საჭირო.

გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების მკვლევარი კომისია გაუქმებულ იქნება მაისის დამლევსაო.

გაზეთი „Новости“ ამბობს, რომ ამ კვირაში სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს, რომელსაც საგნად ექნება არაყის წვრილ-წვრილ ქარხნებს დაეხმაროს და წესსა და რიგში მოიყვანოს არაყის ნარდად ვაჭრობა. ამ პროექტის პირველი ნაწილი, რომელმაც ფეხზე უნდა დააყენოს წვრილ-წვრილი ქარხნები, შემოღებული იქნება 1889 წლის პირველ ივლისიდგან, ხოლო მეორე ნაწილი—იმავე წლის პირველ იანვრიდგან.

ვენა. იმპერატორმა და სერბიის მეფემ ინახულეს ერთმანეთი. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ მილანის მოსვლას ვენაში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო.

დედოფალი ნატალია მიდის ვისბადენში. ნატალიასი და იმის მეუღლის მეფის მილანის მორიგება, როგორც სჩანს, ვერ მოხდა.

ლონდონი. შაქრის შესახების კონვენციის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელ-შეკრულობის პროექტზე, რომელიც უნდა აცნობონ თავ-თავიანთ მთავრობასა. შემდეგ 16-ს აგვისტოს წარმომადგენელნი ისევე შეიკრიბებიან ლონდონში ხელ-შეკრულობის დასამტკიცებლად. იმ დრომდე-კი ხელ-შეკრულობის შინაარსი გამოცხადებული არ იქნება.

ქვედა პალატამ მიიღო პროექტი $3\frac{1}{2}$ მილიონ გირვანქა სტერლინგის რენტისა. ამ პროექტს საგნადა აქვს ავსტრალიის ფლოტის გაძლიერება და ნავთ-სადგურებისა და ნახშირის სადგურების დაცვა. ბაასის დროს მოხსენებული იყო, რომ განზრახვა აქვთ გაამაგრონ ლამანშისა, გიბრალტარისა და მალტის ნავთ-სადგურებიო.

პარიჟი. დეპუტატთა პალატამ უარჰყო ის პროექტი, რომლის ძალითაც სიმინდზე ბაჟი უნდა დაეწესებინათ.

ბერლინი. როცა საბირჟო კრება გაიმართა, დასაწყისშივე საქმე ცუდად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ფასები თან-და-თან აიწია,—პირველად რუსეთის ფასიანის ქაღალდებისა. ამ გარემოების მიზეზად ასახელებენ იმას, რომ რუსეთიდგან დიდ-ძალი პური გაუტანიათ, რის გამოისობითაც რუსეთის მანეთი აიწია ფასში. ამას გარდა კარგი ზედ-მოქმედება იქონია იმ ამბავმა, ვითომ რუსეთში სხვა-და-სხვა ცვლილება უნდა შემოიღონ საეკონომიო საქმეებშიო.

5 მაისი

პეტერბურგი. „Нов. Время“ იუწყება, რომ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრს წინაშე წარსდგა დეპუტაცია ყაზანის საბჭოსა და თემობისაგან. დეპუტაციის მოთავედ იყო ყაზანის ქალაქის თავი დიაჩენკო და ითხოვდა, რკინის გზით შეაერთეთ ყაზანი და მურომიო.

ჩარჯუი. ბედნიერ დღეების გამო შეყენებული მუშაობა კვლავ დაიწყეს და გზას კვლავ აკეთებენ სამარყანდამდე. ყოველ დღე ექვს-ექვსი ვერსი გზა კეთდება.

გუშინ აქაურს ოლქის სასამართლოში დაიწყეს გარჩევა ვაჭართა პოპოვების საქმისა. პოპოვებს ბრალდებათ ყალბის ჩაის მზადება და ყალბის ეტიკეტით გასყიდვა. გაირჩევა აგრეთვე საქმე გლეხ-კაცთა ბოტინისა და ხახლოვისა, რომელთაც პოპოვმა მიჰყიდა ნახარში და კაპორის ჩაი.

ბერლინი. იმპერატორის ჯან-მრთელობა სწრაფად შედის უკეთესობაში; გუშინ იმპერატორმა ისეირნა ეტლით შარლოტენბურგის ბაღში. იმედი აქვთ, რომ მალე იმპერატორი თვით შეიძლებს კიბეზე ჩასვლას, სხვის დაუხმარებლად.

ვენა. აქაურ მცოდნე კაცთა შორის მნიშვნელობას არ აძლევენ იმ გარემოებას, რომ რუსეთსა ჰკიცხავენ მადიარების გაზეთები, რომელნიც საზოგადოდ დიდს ფართი-ფურთსა და საომარ ალტაცებაში არიან; ამბობენ, რომ ამისი მიზეზია მადიარების საპოლიტიკო გულის-თქმათა აღტყინება ერთის მხრით და საბირჟო ცუღლუტობა მეორეს მხრითაო; ავსტრიის მკვიდრნი მშვიდობიანობის გუნებაზედ არიან და ეწინააღმდეგებიან ყოველ გვარს საფათერაკო დაწყობილებასაო.

პარიჟი. უკანასკნელს სამუნიციპალო არჩევანებზე კონსერვატორებმა 500 ადგილი შეიძინეს. ემზადებიან, რომ ოთხი ბულანჟეს მომხრე გაზეთი კიდევ დააარსონ; ერთის მათგანის რედაქტორად იქნება დერულედი.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამხოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ოდესიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# ყინული

სრულიად სუფთა, ფილტრით დაწმენდილის წყლისაგან მომზადებული, სასმელსა და საჭმელში სახმარებლად,

ისყიდება

ზემელის ყინულის ქარხანაში,

ტფილისში, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

(3—2)

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთსაწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთისა

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

# ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში

(50—42)

ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით ქვემო მოხსენებულს რიცხვებში

ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა; მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივ ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.